



ჩვენი ლოგოს შემადგენლობა:

წრე




4 საფეხური





წრე - როგორც უწყვეტობის სიმბოლო

უწყვეტობის,
მარადიულობის
კულტური სიმბოლო




ურობოროსი -
მარადიულობის
სიმბოლო ძველ
ევიპტეში,
საბერძნეთში, რომში



წრე - როგორც:

1. უწყვეტი განათლების მნიშვნელობა
2. კვალიფიკაციის ამაღლებაზე მუდმივი ზრუნვა
3. პიროვნების მუდმივი განვითარება
4. ორგანიზაციის უწყვეტი განვითარება



საფეხურები - როგორც კარიერული
წინსვლის სიმბოლო:



„ოთხი ეტაპი ნებისმიერი ახალი უნარის შესაძენად“

შემუშავებულია გორდონის
საერთაშორისო
ტრენინგების
ორგანიზაციაში, მისი
თანამშრომლის - ნოელ
ბარჩის მიერ, 1970 წელს



პირველი საფეხური:

გაცნობიერებელი არაკომპეტენტურობა:


კომპეტენციის პირველ საფეხურზე მყოფმა პიროვნებამ არ იცის, თუ როგორ შეასრულოს ამოცანა და ამასთან არ აღიარებს კომპეტენციის დეფიციტს. მეორე საფეხურზე გადასვლამდე, იგი იწყებს საკუთარი არაკომპეტენტურობისა და ახალი უნარის ღირებულების გაცნობიერებას.



მეორე საფეხური:

გაცნობიერებული არაკომპეტენტურობა:

კომპეტენციის მეორე საფეხურზე პიროვნებას სრულად აქვს გაცნობიერებული კომპეტენციის დეფიციტი და ამჟღავნებს დიდ მოტივაციას პროფესიონალად ჩამოყალიბებისთვის. ამ საფეხურზე, შეცდომების დაშვება შეიძლება განუყოფელი იყოს სწავლის პროცესისგან.



მესამე საფეხური:

ცნობიერი კომპეტენტურობა:

კომპეტენციის მესამე საფეხურზე მყოფ პიროვნებას გააჩნია ცოდნა და უნარები ამოცანის შესასრულებლად, მაგრამ ამ ცოდნის და უნარების პრაქტიკული გამოყენება მისი მხრიდან საჭიროებს ყურადღების კონცენტრაციას, დიდია მისი ცნობიერი ჩართულობა. ამ საფეხურზე ინდივიდს ესაჭიროება დამატებითი სწავლება ცოდნისა და კომპეტენციის გაღრმავებისთვის.



მეოთხე საფეხური:

არაცნობიერი კომპეტენტურობა:

კომპეტენციის მეოთხე საფეხურზე პიროვნებამ შეიძინა ღრმა ცოდნა და იმდენად ხშირად გამოიყენა იგი პრაქტიკაში, რომ ამოცანის განხორციელება აღარ არის დაკავშირებული მისი მხრიდან დიდ ცნობიერ ჩართულობასთან. ამ საფეხურზე, პიროვნებას შეუძლია მისი ცოდნა სხვასაც გაუზიაროს.




წარმატების სიმბოლოს

კარიერული წინსვლის

მუდმივი (უწყვეტი) განვითარების

მაღალი კომპეტენციის

წარმოგიდგენთ:



იუსტიციის
უმალღესი სკოლა